დამტკიცებულია:

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის" სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

სხდომის ოქმი #1 16 /01/2019 წელი

ცვლილება:

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის"

დირექტორის ბრძანებებით:

#1 24/01/2020 წელი; # 61 21/09/2020წ

#21 26.04.2022 წ.

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი"

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2019-2025 წლების სტრატეგია

ქ. ახალციხე

2019 წელი

1. შესავალი ---------- 3

2. სტრატეგიული გეგმის შექმნის საფუძვლები ---------- 5

3. მისია, კონცეფციები, ხედვა, ღირებულებები ---------- 5

4. კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზი ---------- 6

5. სიტუაციური ანალიზი ---------- 7

6. კოლეჯის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ---------- 13

7. 2019- 2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა ---------- 15

8. საკონტაქტო ინფორმაცია ---------- 19

შესავალი

კოლეჯის შესახებ და ისტორია

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონებით, სხვა ნორმატიული აქტებით და კოლეჯის წესდებით.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-მასწავლებელთა განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ პროფესიული განათლების მიმართულებით არის ერთ-ერთი ცნობილი სასწავლებელი საქართველოში, რომელიც (როგორც პროფესიული სასწავლებელი) ფუნქციონირებს 1977 წლიდან სხვადასხვა სამრთლებრივი ფორმითა და სახელწოდებით. კოლეჯი მრავალდარგოვანია, რასაც ხელი შეუწყო “საქართველოს რეგიონალური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის” შექმნამ. რამაც თავის მხრივ განსაზღვრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მრავალმხრივი განვითარების პროექტების განხორციელება, რაზეც დამოკიდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნა, ხოლო ამ მოთხოვნიდან გამომდინარე კვალიფიციური მუშახელის მიწოდება.

ძირითადი მიღწევები

2016 წელს მოხდა კოლეჯის სასწავლო კორპუსის უნივერსლური დიზაინით სრული რეაბილიტაცია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ.
კოლეჯი 2013 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს **ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან** ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების მიზნით.
კოლეჯმა 2017 წლიდან **„გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ)** აქტიური მხარდაჭერით ეროვნული სატყეო სააგენტოსთან ერთად შემუშავდა ერთობლივი პროგრამა ,,სატყეო საქმე“ მათივე მხარდაჭერით განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები, აღიჭურვა სასწავლო ლაბორატორიები.2017 წელს მოეწყო სასწავლო ტური,სატყეო დარგში პროფესიული განათლების თეორიისა და პრაქტიკული სწავლებისათვის , ბავარიაში.
2015 წლის 9 სექტემბერს **ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM** „გზა სულყოფილებისაკენ“ მოდელის განხორციელების ფარგლებში კოლეჯს ეწვია ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM ექსპერტი და ამავე ფონდის ვალიდატორთა ჯგუფი. ექცპერტისა და ვალიდატორების დასკვნის საფუძველზე კოლეჯის ორმა საკუთარმა და ერთმა საერთო გაუმჯობესების პროექტმა წარმატებით გაიარა ვალიდაცია EFQM სრულყოფის დონის პირველი საფეხურზე და მიიღო EFQM სრულყოფაზე ორიენტირების აღიარება, რის საფუძველზეც ამავე წლის ნოემბერში დაწესებულება დაჯილდოვდა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM „გზა სულყოფილებისაკენ“ მოდელის სერთიფიკატით.
2014 წლის 27 იანვარიდან კოლეჯი ,,ოპიზარი“ჩართულია ქართულ-ესტონურ პროექტში „ქართული პროფესიული განათლების და მომზადების ხელშეწყობის მხარდაჭერა“. პროექტი მოიცავს ქართველი

პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგებს და პრაქტიკას ესტონეთის პარტნიორ სკოლებში მათი კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით. ჩვენი უშუალო პარტნიორია ესტონეთის, ქალაქ ტალინის პროფესიული სკოლა.
კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს IOM მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან , მათი დაფინანსებით კოლეჯს გადმოეცა სამზარეულოსა და საკონდიტრო სპეციალობებისათვის აღჭურვილობა, მათი მხარდაჭერით დაინერგა ,,მზარეულის“,,კონდიტერის“ და ,,სარესტორნო საქმისმწარმოებლის“ საგნობრივი პროგრამები.
2017 წლიდან კოლეჯში დაინერგა პროექტი „ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დაფუძნება“ , რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ცხრა რეგიონულ პროფესიულ კოლეჯში, მათ შორის სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ოპიზარში“ სისკოს საერთაშორისო აკადემიების დაფუძნებას და მათ ინტეგრაციას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან. პროექტის ფარგლებში მოხდა საქართველოს მასშტაბით ერთიანი IT საგანმანათლებლო ქსელის შექმნა, სადაც განთავსებულია IT პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა სასწავლო რესურსი: სასწავლო მასალები, გზამკვლევები, კურიკულუმები, ტესტები, პრაქტიკული დავალებები და სხვა. აქვეა წარმოდგენილი ინდექსირებული ელ-ბიბლიოთეკა, ვიდეო გაკვეთილები/ვებინარები და დისტანციური სწავლებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსები ტესტირების, თვითშეფასების მოდულების, სიმულატორების და სხვა ინოვაციური სასწავლო ინსტრუმენტების სახით. საგანმანათლებლო ქსელში მოხდაება სტუდენტთა და პედაგოგთა ფორუმების ინტეგრირება, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა დასაქმებას და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოცდილების გაზიარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.
2007 წლიდან კოლეჯი ,,ოპიზარი" თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამასთან (”UNDP”-ის). პროგრამების ფარგლებში ,,პროფესიულ განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა „ მოხდა სტუდენტების გადამზადება საამშენებლო, გადამამუშავებელ და სოფლისმეურნეობის პროფესიებში, ასევე ,,უნარების განვითარება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით’’. ამავე პროგრამის ფარგლებში პრექტის ,, საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლების და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების სისტემის მოდერნიზაცია“ აღიჭურვა ფერმერების კაბინეტ-ლაბორატორია, შეძენილი იქნა პორტატული ლაბორატორია ვეტერინარიაში ასევე პორტატული ლაბორატორია აგრომომსახურეობისავის და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ტექნიკა. 2014 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (”UNDP”-ის) დაფინანსებით განხორციელდა ფერმერისა და ვეტ. მომსახურეობის სპეციალისტის IV საფეხურის პროგრამაზე(3-3 მოდულის) პილოტირება.ამსთან ერთად მოხდა სრული სადიპლომო პროგრამების პილოტირება.
2017-2018წწ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ,,საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემის მოდერნიზება“ ფარგლებში კოლეჯის ბაზაზე განხორციელდა პროექტი ,,სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ახალი მოდელის შესრულებისა და პროფესიული ორიენტაციის კურსისი პილოტირება“

პროექტი მოიცავდა ორ კომპონენტს:

I სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამის განხორციელება

II პროფესიული ორიენტაციის პროგრამის პილოტირება.

2017 წელს პროექტი ,,ინოვაციური პროფესიული განათლების დანერგვა საქართველოს მეთევზეობაში „ პილოტირება განხორციელდა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს სამრეწველო უნარების და სამუშაო ძალის განვითარების პროექტი - პროგრამის განვითარების კონკურენტული გრანტების ფარგლებში, სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ და სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ თანამშრომლობით. პროექტის

ფარგლებში განხორციელდა პროგრამის ,,მეთევზეობა“ მოდულები: ,, სურსათის უვნებლობის საფუძვლები“ (2 კრედიტი) , ,,გაცნობითი პრაქტიკა“ (1 კრედიტი) და ,, გარემოს დაცვა“ (2 კრედიტი) . პილოტირების შედეგად კოლეჯში დაინერგა ,,მეთევზეობის“ სადიპლომო პროგრამა.

2021 წლის ბოლოს და 2022 წლის დასაწყისში პროექტის - გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების ინტეგრირება რეგიონული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება, გეგმის გენდერული შეფასება და იმ საკითხების ასახვა, რომელიც კოლეჯს დაეხმარება გენდერული თანასწორობის მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავებაში.

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლების ხარისხის შემდგომი სრულყოფის მიზნით კოლეჯი მუდმივად გეგმავს და ახორციელებს საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით.

სტრატეგიული გეგმის შექმნის საფუძვლები

სსიპ-კოლეჯ „ოპიზარის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა კოლეჯის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც შექმნილია საქართველოს განვითარების სტრატეგიული გეგმისა და საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგიის საფუძველზე სასწავლებლის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პარტნიორების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.
სსიპ-კოლეჯ „ოპიზარის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა მიმოიხილავს დაწესებულების მისიას, როლს და ადგილს პროფესიულ განათლებაში, გრძელვადიან ხედვას, ღირებულებებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს.
კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც სასწავლებელი ცდილობს, გაუზიაროს საკუთარი სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

მისია, კონცეფციები, ხედვა, ღირებულებები

კოლეჯის **მისიაა** სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კოლეჯის **კონცეფციებია:**

- მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება;
- ორგანიზაციის მდგრადი მომავლის შექმნა;
- ეფექტიანი/მოქნილი მართვა;
- შემოქმედებითობის და ინოვაციების ხელშეწყობა;
- ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება;
- ლიდერობა პროფესიული განათლების სეგმენტში დაწესებულებაში ერთიანი ხედვის, შთაგონების და მიდგომების დანერგვის გზით.

კოლეჯის **ხედვაა** 2025 წლისათვის იყოს ერთ-ერთი ძლიერი პროფესიული სასწავლებელი სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი/მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლებით, მოტივირებული სტუდენტებით, წარმატებული კურსამთავრებულებით, მოქნილი

ადმინისტრირებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით.

კოლეჯის **ღირებულებებია:**

- გუნდურობა;
- პროფესიონალიზმი;
- მუდმივი მზაობა სწარაფადცვალებადი მოთხოვნებისადმი;
- საქმიანობის გამჭვირვალეობა;
- თანამშრომლობითი, უსაფრთხო, ინკლუზიური, დაცული და ესთეტიური სასწავლო გარემო განურჩევლად სქესისა, რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობისა;
- მოტივირებული პროფესიული სტუდენტები;
- მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალი;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- კოლეჯის მომსახურებით დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება.

კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარების პერსპექტივა • სრულად ადაპტირებული უსაფრთხო გარემო • არსებული კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები • ადმინისტრირების გამოცდილება • დაწესებულების ცნობადობა/რეპუტაცია • დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება • საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ინტერესი და ამგვარ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები • სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა • კოლეჯის ხელსაყრელი მდებარეობა • შრომის ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფლება • სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია(ფაბლაბი) • გენდერული თანასწორობის პოლიტიკა • სკოლებთან არსებული პროექტები • ინტეგრირებული პროგრამები	• პრაქტიკის ობიექტების სიმწირე • არასაკმარისი ფინანსური რესურსი. • პროფესიული განათლების კვალიფიციური, მოტივირებული მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა • მომსახურების ძირითადი მომხმარებლებისთვის (სტუდენტები, მსმენელები) სწავლების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა • თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობა • პროფესიული სტუდენტების ნაკლები მოტივაცია • კოლეჯში საერთო საცხოვრებლის, კვების ობიექტის, სპორტული დარბაზის არარსებობა • კოლეჯის ადმინისტრირებაში ადამიანური რესურსის ნაკლებობა • გენდერული შეფერილობის მატარებელ პროფესიებზე ზეგავლენის არ არსებობა • სახელმწიფო სუბსიიდიების საკუთარი შემოსავლების სიმწირე • კოლეჯის კურსდამთავრებულების დაბალი ანაზღაურება • სტუდენტთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი
შესაძლებლობები	**რისკები, საფრთხეები**
• პროფესიული განათლების პოპულარობის ზრდა • დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა	• კვალიფიციური პერსონალის გადინების საშიშროება • პროფესიული განათლებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება

• შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი • პროფესიული პროგრამების მოტივირებული კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები • ბიზნეს წრეებთან კოორდინაციის გაუმჯობესება (კერძო სექტორის ჩართულობა) • სკოლებთან არსებული პროექტების გაძლიერება • გენდერული სტერეოტიპების დაძლევა • პროგრამებში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირების ხელშეწყობა • ინტეგრირებული პროგრამების გაძლიერება • კოლეჯის მდებარეობა, მუნიციპალიტეტებს შორისი და ტრანს-სასაზღვრო პოტენციალის გამოყენება • გაცვლითი პროგრამები • ინოვაციური, თანამედროვე სარეკლამო კამპანიის წარმოება, ცნობიერების ამაღლება • მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების მოზიდვა • ახალი, მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება • ერთობლივი პროექტები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან • სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება • კარიერული განვითარების მიმართულების გაძლიერება, კონკრეტული მექანიზმებით • რეგიონის პოტენციალის საპასუხო პროგრამების მომზადება	• პანდემია

სიტუაციური ანალიზი

ორგანიზაციის ძლიერი მხარეები

<u>არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარების პერსპექტივა</u>

კოლეჯს ამჟამად გააჩნია სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი 32 კაბინეტ-ლაბორატორია და სასწავლო სახელოსნო,1 ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია (FABLAB), ბიბლიოთეკა 5145 წიგნით (მ.შ 1903 სასწავლო ლიტერატურა) საკონფერენციო დარბაზი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი და ავტოსადგომი. კოლეჯის სარგებლობაშია 360 კვ ^{მ} ფართის მქონე ავტოფარეხი.

<u>სრულად ადაპტირებული უსაფრთხო გარემო</u>

კოლეჯის მოქმედი შენობა-ნაგებობები არის სრულად ადაპტირებული შშმ და სსსმ პირებისათვის. კოლეჯში დაცულია პერსონალის და სტუდენტების უსაფრთხოება რისთვისაც დაწესებულებას გააჩნია უსაფრთხოების დაცვის შიდა მექანიზმი და თანამედროვე სისტემა. კოლეჯში ფუნქციონირება სათანადოდ აღჭურვილი მედდის კაბინეტი სადაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

<u>არსებული კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები</u>

კოლეჯის 70 პროფესიული განათლების მასწავლებლიდან (მ.შ. 50 ქალი, 20 კაცი) 60 არის უმაღლესი განათლებით, რომელთაგან უმეტესობას დამატებით აქვს პროფესიულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე 19 მათგანს პროფესიული საქმიანობის პრაქტიკული (დარგობრივი ცოდნა და უნარები) გამოცდილება. ასევე, კოლეჯის მასწავლებელებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში.

<u>ადმინისტრირების გამოცდილება</u>

კოლეჯის პერსონალი - კოლეჯის საშტატო 34 (23 ქალი, 11 კაცი) ერთეულიდან (მ.შ ადმინისტრირებაში ჩართული შტატგარეშე თანამშრომელი) უმაღლესი განათლებით არის 22 თანამშრომელი, 8 პროფესიული განათლებით და 4 საშუალო განათლებით. ასევე, მათ უმეტეს ნაწილს გააჩნია პროფესიულ განათლებაში მოღვაწეობის მრავალწლიანი (მინიმუმ 5 წლიანი) გამოცდილება, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს განახორციელოს ეფექტიანი ადმინისტრირება. (კოლეჯის სტუდენტთა 2020-2021 წლების გენდერული სტატისტიკა დანართად ერთვის სტრატეგიული განვითარების გეგმას)

<u>დაწესებულების ცნობადობა/რეპუტაცია</u>

ამ დროისათვის კოლეჯი მიჩნეულია საქართველოში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების (28 პროგრამა) განმახორციელებელ ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ სასწავლებლად, რაც განაპირობებს სასწავლებლისადმი მზარდ ინტერესს. კოლეჯის ცნობადობას ზრდის იშვიათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაც, რომლებიც სხვა სასწავლებლებს ნაკლებად აქვთ. (მაგ : ვეტერინარია).

<u>დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება</u>

პარტნიორი კერძო და სახელმწიფო კომპანიების მოტივაცია, ითანამშორმლონ პროფესიულ სასწავლებლებთან, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის.

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები, 65-ზე მეტი პარტნიორი კერძო და სახელმწიფო კომპანია შესაძლებლობას უქმნის კოლეჯს უკეთ გაეცნოს ბაზრის ცვალებად, თანამედროვე მოთხოვნებს და გააუმჯობესოს მომსახურების სერვისი. აგრეთვე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ხელს უწყობს ბაზარზე მოთხოვნილ პროფესიებში გენდერული ნიშნით „ქალური“ და“კაცური“ აქცენტირების, მაქციმალურ შემცირებას.

<u>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ინტერესი და ამგვარ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები</u>

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი, როგორც სახელმწიფოს, ისე - საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან, რაზეც მეტყველებს პროფესიული განათლების განვითარებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარების მასშტაბები.

კოლეჯს გააჩნია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება, რომლის შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ:გაეროს განვითარების პროგრამასთან-UNDP, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან“ - (GIZ) და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან, ხარისხის მართვის ევროპულ ფონდთან - EFQM, ათასწლეულის გამწვევის კორპორაციასთან - MCC, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - SDC.

<u>სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა</u>

2018 წლის 20 სექტემბერს მიღებული საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ და პროფესიული განათლების განვითარების მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შესაძლებლობებს, მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარების სტრატეგიული პროექტებისათვის, სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისა და სერვისის დივერსიფიკაციის მიმართულებით.

<u>კოლეჯის ხელსაყრელი მდებარეობა</u>

კოლეჯი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მნიშვნელოვან ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ქ. ახალციხეში რუსთაველის #111. ხოლო ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩნია 40,1 ჰა სას. სამ. და სათიბი მიწის ნაკვეთი.სამცხე-ჯავახეთში 4303 მოქმედი მცირე და საშ. საწარმოა. (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ნინოწმინდა, ახალქალაქი) მოსახლეობა შეადგენს 208,888 მათ შორის შრომითი რესურსი 125.000 კაცია. რომელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება რეგიონის მოსახლეობის უმუშევართა რიცხვს მკვეთრად შეამცირებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში მცხოვრები სომხური მოსახლეობისთვის კოლეჯში არსებულ სპეციალობებზე სწავლება რადგან მათთვის, ვიდრე სახელმწიფო ენის ცოდნა ჯერ კიდევ პრობლემატურია და ურთულებს აკადემიური განათლების მიღებას, შედარებით ადვილად ეუფლება პროფესიული კოლეჯის პრაქტიკულ კომპეტენციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი სასწავლებლის არაქართველ სტუდენტ-მსმენელთა კონტიგენტი 25 %-ს შეადგენს, მსმენელთა საერთო რაოდენობიდან.

<u>შრომის ბაზარზე მოთხოვნის დაკმაყოფილება</u>

ამ დროისათვის რეგიონში შრომის ბაზრის მოთხოვნას და პროფესიული განათლების პროვაიდერების მიერ კვალიფიციური კადრების მიწოდებას შორის არსებობს ბალანსი. დიდია შრომის ბაზრის მხრიდან მოთხოვნა კვალიფიციურ კურსდამთავრებულებზე , კოლეჯი მუდმივად ცდილობს მიაწოდოს შესაბამისი განათლების მქონე კადრები.

<u>სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია(ფაბლაბი)</u>

ფაბლაბის მიზანია, საქართველოს შესთავაზოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის თავისი უნიკალური მოდელი. მისი განვითარება მნიშვნელოვანია ახალი სტარტაპ ბიზნესების ჩამოსაყალიბებლად და პერსონალური წარმოების განსავითარებლად, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანისთვის სასურველი ინდივიდუალური დიზაინისა თუ ფუნქციების მქონე პროდუქტის მისაღებად არ იქნება საჭირო დიდი ქარხნის აშენება და ეს ყველაფერი მოხდება ლოკალურად, ფაბლაბების ბაზაზე.სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია ბადებს წინსვლის პერსპექტივას თანამედროვე საზოგადოებაში. ამ სივრცეებში ხდება ახალი წამოწყებების სრულყოფა და ახალგაზრდა ინოვატორების იდეების რეალიზება. კოლეჯში არსებული

ფაბლაბის აღჭურვილობა საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ კანონის ფარგლებში დაგეგმილი სამრეწველო საქმიანობა.

<u>გენდერული პოლიტიკა</u>

2021 წლის ბოლოს და 2022 წლის დასაწყისში პროექტის - გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების ინტეგრირება რეგიონული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში მოხდა კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გენდერული თანასწორობის მიზანმიმართული პოლიტიკის ჩაშენება. (კოლეჯის გენდერული სტატისტიკა დანართად ერთვის სტრატეგიული განვითარების გეგმას)

<u>სკოლებთან არსებული პროექტები</u>

კოლეჯი 2018 წლიდან აქტიურად არის ჩართული „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ პროექტში და 2018-2020 წლებში განახორციელა 28 საჯარო სკოლასთან 35 სასწავლო კურსი.

<u>ინტეგრირებული პროგრამები</u>

კოლეჯი 2020 წლიდან ახორციელებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ორგანიზაციის სუსტი მხარე:

<u>პრაქტიკის ობიექტების სიმწირე</u>

კოლეჯი მიმდინარე პერიოდისათვის თანამშრომლობს 65-ზე მეტ კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციასთან, თუმცა პროგრამების გარკვეული ნაწილი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე განიცდის პარტნიორების ნაკლებობას, ამასთან რიგ შემთხვევაში საწარმოების ნაწილი არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

<u>არასაკმარისი ფინანსური რესურსი.</u>

დაფინანსების არსებული სისტემა არ იძლევა იმის საშუალებას, კოლეჯმა წარმატებით განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები, რაც პროფესიული სტუდენტების და პერსონალის მოტივაციის გაზრდის წინაპირობა გახდება, რისთვისაც საჭიროა კოლეჯის ფინანსური მდგომარეობის გამყარება.

<u>პროფესიული განათლების კვალიფიციური, მოტივირებული მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა</u>

დღეის მდგომარეობით პროფესიული განათლების მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ, უმეტეს შემთხვევაში, კოლეჯში მოხდეს მაღალი რანგის პროფესიონალების მასწავლებლად მოწვევა თანამედროვე წარმოებაში, მოთხოვნად პროფესიებში მიღებული მუშაობის გამოცდილებით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა სწავლების ხარისხს. ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კოლეჯის მასწავლებლების ასაკი, 70 მასწავლებლიდან საპენსიო ასაკი აქვს 9 მასწავლებელს.

<u>მომსახურების ძირითადი მომხმარებლებისათვის (სტუდენტები, მსმენელები) სწავლების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა</u>

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ რაიონების მაცხოვრებლები, რომელთა უმეტესობის სოციალური მდგომარეობა არ იძლევა

საშუალებას საკუთარი სახსრებით მოახდინონ ბინის ქირის გადახდა, შესაბამისად რთულდება სწავლა/სწავლებაზე მათი ხელმისაწვდომობა. ამისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად გოგონებისა და ვაჟების არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა განსაკუთრებული აქცენტით ტექნიკურ/ტექნოლოგიურ სწავლებაზე. კოლეჯმა ამ მიმართულებით, უნდა ჩამოაყალიბოს ინვაციური, თანამედროვე მიდგომა, პროფესიულ პროგრამების სტუდენტთა შორის გენდერული ბალანსის ხელშესაწყობად. შესაძლებელია დონორებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საინფორმაციო კამპანიების წარსამართად და საუკეთესო როლური მოდელების პოპულარიზაციისათვის.

<u>თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობა</u>

ქართულ ენაზე გამოშვებული საჭირო რაოდენობისა და თემატიკის თანამადროვე სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის ან/და ინტერნეტრესურსის ნაკლებობა მნიშვნელოვნად ამცირებს კოლეჯის შესაძლებლობას მიაწოდოს მომხმარებელს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მომსახურება.

<u>პროფესიული სტუდენტების ნაკლები მოტივაცია</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტებისათვის სტიპენდიის არარსებობა არის გამოწვევა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ მოტივაციას. ვინაიდან მათი უმეტესობა არის სოციალურად შეჭირვებული ფენის წარმომადგენელი და ხშირად ვერ ახერხებს სწავლის დასრულებას, ამიტომ წარჩინებული სტუდენტებისათვის შემოღებული სტუდენტური სტიპენდია გაზრდის მათ მოტივაციას, არა მარტო ისწავლონ, არამედ ისწავლონ საუკეთესოდ, რათა სასწავლო რესურსი გახდეს მათთვის მეტად ხელმისაწვდომი. ამასთანავე, კარიერული რჩევების/კონსულტაციის გაცემისას დაძლეული უნდა იყოს გენდერული სტერეოტიპები, რომელიც პროფესიულ პროგრამებს „ქალურ“ ან „მამაკაცურ“ პროფესიებად ყოფს.

<u>კოლეჯში საერთო საცხოვრებლის, კვების ობიექტის, სპორტული დარბაზის არარსებობა</u>

კოლეჯის მომსახურეობა მოიცავს ექვსს რაიონს.სტუდენთა ნაწილს უწევს დიდი მანძილის გავლა კოლეჯში მოსასვლელად.კოლეჯს არ გააჩნია საერთო საცხოვრებელი, კვების ობიექტი და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად დარბაზი.

<u>კოლეჯის ადმინისტრირებაში ჩართული ადამიანური რესურსის ნაკლებობა</u>

კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადამიანური რესურსი მცირეა შესასრულებელ სამუშაოსთან შედარებით.იგეგმება რიცხოვნობის გაზრდა ,რაც აღმოფხვრის არსებულ პრობლემას.

<u>გენდერული შეფერილობის პროგრამები</u>

რიგ შემთხვევებში კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სადაც არ არის დაცული გენდერული ბალანსი. სტერეოტიპულად რჩება „ქალური“ და „კაცური“ შეფერილობის პროგრამები.

სახელმწიფო სუბსიიდიების საკუთარი შემოსავლების სიმწირე

ამ დრომდე კოლეჯს არ გააჩნდა სამეწარმეო საქმიანობის უფლება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა შემოსავლებს. უკვე მიღებული კანონმდებლობით კოლეჯს საშუალება ექნება აწარმოოს პროდუქტი და გაწიოს მომსახურება ღირებულების სანაცვლოდ, რაც შეავსებს კოლეჯის ბიუჯეტს.

კოლეჯის კურსდამთავრებულების დაბალი ანაზღაურება

ხშირ შემთხვევაში შრომის ბაზარზე კოლეჯის კურსდამთავრებულებს სთავაზობენ დაბალ, არაკვალიფიციურ კადრთან გათანაბრებულ ანაზღაურებას, რაც უკარგავს მოტივაციას .

სტუდენტთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი

საქართველოში სამუშაო ადგილების სიმცირის გამო კურსდამთავრებულები ვერ ახერხებენ საკუთარი პროფილით მუშაობას . ჯერ კიდევ შემორჩენილი სტერეოტიპული შეხედულება უმაღლესი განათლების უპირატესობასთან დაკავშირებით.

კოლეჯის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები:

2019-2025 წლებში კოლეჯი ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით იმუშავებს; ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება, ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება და კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა.

1. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება

ამოცანა

1.1. პერსონალის საჭიროებების განსაზღ გენდერული ნიშნის გათვალისწინებით პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა.პერსონალის საჭიროებების მიხედვით გადამზადება.

1.2. კვალიფიციური და მოტივირებული კადრების მოზიდვა.

2. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანა

2.1. პროგრამების განხორციელების არსებული შეფასების სისტემის დახვეწა;
2.2. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება;
2.3. პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა;
2.4. მასწავლებლების გენდერული ცნოებიიერების გასაზრდელად გენდერული ტრენინგების ჩატარება;
2.5. სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა;
2.6. წარმატებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება/დანერგვა.

2.7. კოლეჯში ეტაპობრივად თანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის შემოტანა.

3. ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა

3.1. სასწავლო სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება სტანდარტებისა და წარმოებაში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით;
3.2. ადაპტირებული საერთო საცხოვრებლის მშენებლობა;
3.3. კვების ობიექტისა და სპორტული დარბაზის მოწესრიგება.

4. ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება

ამოცანა

4.1. დამატებითი ბენეფიტების მომტან ინოვაციურ პროექტებში კოლეჯის ჩართვა;
4.2. კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი ბენეფიტების მიღების მიზნით;
4.3. კოლეჯში სამეწარმეო საქმიანობის დანერგვა;
4.4. სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის პროცესების მართვა;
4.5. დამატებითი საქმიანობიდან მიღებული სახსრების რეინვესტირება კოლეჯის განვითარებაში.

5. კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა

ამოცანა

5.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება (მათ შორის უმაღლესი და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები);
5.2. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში;
5.3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.
5.4. ტრენინგკურსების შემუშავება და დანერგვა.
5.5. ერთობლივი პროგრამების განხორციელება;
5.6. გაცვლითი პროგრამების განხორციელება;
5.7. კოლეჯის მომსახურების დაფარვის ზონის გაზრდა. საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრაციით;
5.8. ბაზარზე მოთხოვნადი ახალი პროგრამების იდენტიფიცირება და დამატება;
5.9. პროფესიული ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრაციის გზით;
5.10. გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად სტუდენტების მომზადება ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით
5.11. საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება კოლეჯის სტუდენტებისთვის. კარიერული მხარდაჭერა. სტუდენტთა ინფორმირება დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებთა დაკავშირებით;
5.12. სტუდენტთა მოზიდვის ინოვაციური კამპანიების დაგეგმვა, პროფესიული პროგრამების გენდერული შეფერილობის დასაძლევად
5.13. სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ახალი პარტნიორების მოძიება;
5.14. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
5.15. კოლეჯის კურსდამთავრებულთაგან წარმატებული როლური მოდელების პოლულარიზაცია გენდერული ნიშნით;

5.16. პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული საერთო საცხოვრებლის მოწყობა;
5.17. წარჩინებული პროფესიული სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნა;
5.18. საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად ქართველი წარჩინებული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის შეღავათების დაწესება;
5.19. პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის მიერ დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში გენდერული ასპექტის გათვალისწინებით;
5.20. ინკლუზიური განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდა;
5.21. გენდერული, შშმ/ სსსმ და ეთნიკური ნიშნით შერჩეული პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის სტრატეგიის შემუშავება- განსაზღვრაში.
5.22. დუალური პროგრამების განხორციელების ადმინისტრირების დახვეწა;
5.23. დუალური პროგრამების სარეკლამო კამპანიის წარმოება გენდერზე აქცენტირებით;
5.24. დუალური პროგრამების განხორციელების მსურველი პარტნიორების რაოდენობის გაზრდა;
5.25. დუალურ პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.

2019- 2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული მიზანი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირები	ანგარიშგების პერიოდი							შენიშვნა
				2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	
1. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება	პერსონალის საჭიროებების განსაზღ გენდერული ნიშნის გათვალისწინებითპერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა. პერსონალის საჭიროებების მიხედვით გადამზადება.	1.კვლევის შედეგების დაჯგუფება გენდერული ნიშნით; კოლეჯის „ადამიანური-რესურსების მართვის პოლიტიკა „ ჩატარებული ტრენინგები ან/და კომპეტენტური კადრები ან/და შეფასების ოქმები;	დირექტორი,დ.მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	

	კვალიფიციური და მოტივირებული კადრების მოზიდვა.	მოტივირებული და კვალიფიციური კადრების გაზრდილი მაჩვენებელი ;	დირექტორი,დ.მოადგილე	+	+	+	+	+	+	+	
2. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება	პროგრამების განხორციელების არსებული შეფასების სისტემის დახვეწა.	პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი შიდა ნორმატიული დოკუმენტები მოთხოვნების შესაბამისია.	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		+			+			
	პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება.	ჩატარებული ტრენინგები; ვორქშოპები და კონფერენციები; დასწრების ფურცლები.	ხარისხის მართვის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	
	პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა.	ჩატარებული ტრენინგები; ვორქშოპები და კონფერენციები; პროფესიული განათლების მასწავლებლებლებისათვის გაზრდილი ანაზღაურება; გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები;	დ.მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი				+	+	+	+	
	მასწავლებლების გენდერული ცნოებიიერების გასაზრდელად გენდერული ტრენინგების ჩატარება	სატრენინგო მოდული გადამზადებულ მასწავლებელთა რაოდენობა	მოწვეული სპეციალისტი				+	+	+	+	
	სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა.	მონიტორინგის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციები.	ხარისხის მართვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	
	წარმატებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა.	ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები; შეხვედრის ოქმები და/ან	ხარისხის მართვის მენეჯერი					+	+	+	

		ამსახველი მტკიცებულებები;									
	კოლეჯში ეტაპობრივად თანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის შემოტანა.	ბიბლიოთეკის მატერილური და ელექტრონული, ინვენტარიზაციის მასალები.	ბიბლიოთეკარი	+	+	+	+	+	+	+	
3. ინფრასტრუქტურის განვითარება	სასწავლო სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება სტანდარტებისა და წარმოებაში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით.	შესყიდვის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები;	დ.მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი.	+	+	+	+	+	+	+	
	საერთო საცხოვრებლის მშენებლობა მათ შორის სსსმ და შშმ პირებზე ადაპტაციით.	აშენებული საერთო საცხოვრებელი.						+			
	კვების ობიექტისა და სპორტული დარბაზის მოწესრიგება.	განახლებული კვების ობიექტისა და სპორტული დარბაზის ინფრასტრუქტურა.						+			
4. ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება	დამატებითი ბენეფიტების მომტან ინოვაციურ პროექტებში კოლეჯის ჩართვა.	ურთიერთთანამშრომლობ ის მემორანდუმები; ხელშეკრულებები; პროექტების დოკუმენტაცია.	დირექტორი დ.მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი,	+	+	+	+	+	+	+	
	კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი ბენეფიტების მიღების მიზნით.	ურთიერთთანამშრომლობ ის მემორანდუმები; ხელშეკრულებები; ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების დოკუმენტაცია;	დ.მოადგილე, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		+	+	+	+	+	+	
	სამეწარმეო საქმიანობის დანერგვა.	პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.	დ. მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი					+	+	+	
	სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის პროცესების მართვა.	სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი.	დ. მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი					+	+	+	
	დამატებითი საქმიანობიდან მიღებული სახსრების რეინვესტირება	ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების დოკუმენტაცია;						+	+	+	

	კოლეჯის განვითარებაში.	დაგეგმილი და დამტკიცებული ბიუჯეტი									
5. კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება(მათ შორის მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები).	ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზებული და დანერგილია; მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებული და დანერგილია.	ხარისხის მართვის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	
	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება, ასეთი პროგრამების დამატება და დანერგვა	პროფესიულ საგანმანათლებლო როგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ინტეგრირებულია. ასეთი პროგრამები ავტორიზებული და დანერგილია	ხარისხის მართვის მენეჯერი		+	+	+	+	+	+	
	პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.	პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები შემუშავებული და დანერგილია.	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	+	+	+	+	+	+	+	
	ტრენინგკურსების შემუშავება და დანერგვა.	ტრენინგკურსები შემუშავებული და დანერგილია	დ. მოადგილე,		+	+	+	+	+	+	
	ერთობლივი პროგრამების განხორციელება.	ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები	დ. მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი						+	+	
	გაცვლითი პროგრამების განხორციელება.	ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები	დ. მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი					+	+	+	

	კოლეჯის მომსახურების დაფარვის ზონის გაზრდა საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრაციით.	ჩატარებული საინფორმაციო/საკონსულ ტაციო შეხვედრები; სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია.	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,		+	+	+	+	+	+	
	ბაზარზე მოთხოვნადი ახალი პროგრამების იდენტიფიცირება და დამატება.	შრომის ბაზრის კვლევის შედეგები; ავტორიზებული პროგრამები.	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,ხარისხ ის მართვის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	
	პროფესიული ორიენტაცია საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრაციის მიზნით.	ჩატარებული კონსულტაციები სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	
	გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად სტუდენტების მომზადება ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით	გადამზადებულ სტუდენტთა რაოდენობა სატრენინგო მოდული	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; საზოგადოებასთა ნ ურთიერთობის მენეჯერი				+	+	+	+	
	საინფორმაციო/საკონსუ ლტაციო შეხვედრების ორგანიზება კოლეჯის სტუდენტებისთვის. კარიერული მხარდაჭერა. სტუდენტთა ინფორმირება დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	ჩატარებული საინფორმაციო/საკონსუ ლტაციო შეხვედრები; სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია.	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,საწარმო ო პრაქტიკის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	

	სტუდენტთა მოზიდვის ინოვაციური კამპანიების დაგეგმვა, პროფესიული პროგრამების გენდერული შეფერილობის დასაძლევად	პროგრამების გენდერული სტატისტიკა; სტუდენტთა გენდერული თანაფარდობა სხვადასხვა პროფესიულ პროგრამებზე.	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი				+	+	+	+	
	სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ახალი პარტნიორების მოძიება.	ახალი პარტნიორი საწარმოები მოძიებულია და პროცესებში ჩართულია; ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები.	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	
	პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა	გავრცელებული სარეკლამო ბუკლეტები; სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია;	დ. მოადგილე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	
	კოლეჯის კურსდამთავრებულთა გან წარმატებული როლური მოდელების პოლულარიზაცია გენდერული ნიშნით,	სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული წარმატებული ისტორიები	საზოგადოებასთნ ურთიერთობის მენეჯერი				+	+	+	+	
	პროფესიული სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებლის მოწყობა ადაპტირებული შშმ და სსსმ პირებზე.	აშენებული საერთო საცხოვრებელი.	დ.მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი.					+			
	წარჩინებული პროფესიული სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნა.	წარჩინებულ პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ სტიპენდია.	მთავარი ბუღალტერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო					+	+	+	

			პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი								
	საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად ქართველი წარჩინებული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის შეღავათების დაწესება.	პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებილი ხელშეკრულებები.	იურისტი, მთავარი ბუღალტერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი,	+	+	+	+	+	+	+	
	პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის მიერ დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში გენდერული ასპექტის გათვალისწინებით.	დაგეგმილი და ჩატარებული ღონისძიებები; ღონისძიებების მონაწილეთა სია გენდერული, შშმ და სსსმ პირთა სეგრეგირებული მონაცემებით ჩაშლილი სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,				+	+	+	+	
	ინკლუზიური განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდა.	სსსმ და შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა გაზრდილია. მათთვის მომსახურების სერვისები გაუმჯობესებულია; . ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; მხარდამჭერი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია.	ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლ ო პირის ასისტენტი	+	+	+	+	+	+	+	
	გენდერული, შშმ/ სსსმ და ეთნიკური ნიშნით შერჩეული პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის სტრატეგიის შემუშავება-განსაზღვრაში.	შეხვედრის მონაწილეთა სია გენდერული , შშმ/ სსსმ და ეთნიკური ნიშნით. სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია.	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,	+	+	+	+	+	+	+	
	დუალური პროგრამების განხორციელების ადმინისტრირების დახვეწა.	დუალური პროგრამების განხორციელების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი შიდა ნორმატიული დოკუმენტები მოთხოვნების შესაბამისია.	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,		+		+	+			

	დუალური პროგრამების სარეკლამო კამპანიის წარმოება გენდერზე აქცენტირებით	ჩატარებული ღია კარის დღეები; გავრცელებული სარეკლამო ბუკლეტები; სოციალურ ქსელში და კოლეჯის ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია.	პროფორიენტაციი სა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,	+	+	+	+	+	+	+	
	დუალური პროგრამების განხორციელების მსურველი პარტნიორების რაოდენობის გაზრდა.	ახალი პარტნიორი საწარმოები მოძიებულია და პროცესებში ჩართულია; მემორანდუმები, ხელშეკრულებები.		+	+	+	+	+	+	+	
	დუალურ პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.	კოლეჯის რეესტრის მონაცემები.		+	+	+	+	+	+	+	

საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

მის.: ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ# 111

ტელ.: (0365) 22 11 03 ; (0365) 22 17 41.

ელ. ფოსტა: opizari2011@gmail.com ვებგვერდი: http://opizarivet.ge/

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი"